საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030144764364321

№ 01-333/ო **25 / აგვისტო / 2021 წ.**

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის ბინაზე მიწოდების მიზნით, ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მიერ ამცრელი ბრიგადის უზრუნველყოფისა და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ვაქცინებით უზრუნველყოფის და მომსახურების ანაზღაურების თაობაზე

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად და COVID-19 ინფექციის ტრანსმისიის შესაჩერებლად, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის N67 განკარგულების, ,,2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილების, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბინაზე მყოფი გადაადგილებაშეზღუდული მოსახლეობისთვის, covid-19-ის საწინააღმდეგო ნებაყოფლობითი ვაქცინაციის (შემდგომში - ვაქცინაციია) სერვისის ადგილზე მიწოდების მიზნით დაევალოს:

ა) ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს:

ა.ა) ბინაზე მყოფი გადაადგილებაშეზღუდული მოსახლეობის ვაქცინაციის გეგმა-გრაფიკის შედგენა;

ა.ბ) ადგილზე გამსვლელი ბრიგადის დაკომპლექტება შესაბამისი სამედიცინო კადრით, ვაქცინაციისთვის საჭირო საგნებით/აღჭურვილობით და გადაუდებელი საჭიროების საგნებით/მედიკამენტებით.

ბ) სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვაქცინებით უზრუნველყოფა.

2. გამსვლელი ამცრელი ბრიგადის მიერ შესაბამისი სამიზნე ჯგუფის აცრის მომსახურების ღირებულება ანაზღაურდეს ,,2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებით დამტკიცებული ,,2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები“-ს სახელმწიფო პროგრამის - ,,იმუნიზაცია'' (პროგრამული კოდი 27 03 02 02) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის ბინაზე უსაფრთხოდ მიწოდების მიზნით, ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მიერ ამცრელი ბრიგადის უზრუნველყოფის, სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ რეანიმობილის მობილიზების და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ვაქცინებით უზრუნველყოფის და მომსახურების ანაზღაურების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის N01-215/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად